



ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N 13

2020 წელი 27 აგვისტო

ქ. ბაღდათი

9.00 საათი

2020 წლის 27 აგვისტოს გაიმართა ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა.

სხდომას ესწრებოდა: შალვა მშვილდაძე, ნოდარ გიორგიძე ირინა ტყემელაშვილი, ფრიდონ მაჩიტაძე, გია სახამბერიძე, დიომიდე კვიციანი, ტარიელ ჩაკვეტაძე, გურამი ჩხეიძე, გურამი კვიციანი, გვანცა გრძელიძე, მაია კვიციანი, თემურ მინაძე, ზაზა ზივზივაძე, გრიგოლ ტაბეშაძე, მურად ბურჯანაძე, გაბრიელ ღებრიძე, რუსუდან გეგაძე, ირაკლი გოგსაძე, კობა მშვილდაძე, ვლადიმერ წიქორიძე, გიორგი რობაქიძე, ალექსი ლომინაშვილი, შალვა დათუაძე.

საკრებულოს წევრები: სულ 23 წევრი.

არ ესწრებოდა საკრებულოს წევრები: სიმონ ჭოლოკავა, თორნიკე გაჩეჩილაძე, თეონა ფახურიძე, შადიმან გორგოძე, მაკა მესხი, მამუკა გორგოძე.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

მუნიციპალიტეტის მერიიდან:

მერიის სამსახურის უფროსები, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა.ა.ი.პ-ების ხელმძღვანელები

საკრებულოს აპარატის უფროსი- ნოდარ ებანოიძე.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა მუნიციპალიტეტის მერი - არჩილ გოგსაძე

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 23 წევრმა, დაესწრო 23 საკრებულოს წევრი.

სხდომა გახსნა და თავმჯდომარეობდა შალვა მშვილდაძე - საკრებულოს თავმჯდომარე, შ. მშვილდაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგი:

დღის წესრიგი

1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ანგარიში, 2019 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.
მომხს. არჩილ გოგსაძე-მუნიციპალიტეტის მერი.
2. ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N 24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
მომხს. ლერი გუმბერიძე-მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი
3. ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის მეორე კვარტლის შესრულების მიმოხილვა.
მომხს. ლერი გუმბერიძე - მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

თანამომხსენებელი: გივი კობერიძე-მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსი.

გურამი კიკნაველიძე-მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

4. ა.ა.ი.პ. „ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის ინფორმაცია 2019-2020 სასწავლო წელს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღებში სახელმწიფო სტანდარტებით გათვალისწინებული სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ორგანიზების კუთხით ჩატარებული და მიმდინარე მუშაობის შესახებ.

მომხს. თამილა ფაიქიძე - ა.ა.ი.პ. „ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი.

5. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2020 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინა საარჩევნო აგიტაციის ჩასატარებლად შენობა-ნაგებობებისა და სააგიტაციო მასალების გამოფენისათვის ადგილების გამოყოფის შესახებ.

მომხს. გვანცა გრძელიძე - მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

6. ბაღდათის მუნიციპალიტეტში საჯარო მმართველობის რეფორმის განხორციელების ხელშეწყობისათვის, ელექტრონული სერვისების განვითარების მიმართულებით 2020-2021 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხს. გურამი კიკნაველიძე-საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

კენჭი უყარეს დღის წესრიგს:

დღის წესრიგი მიღებული იქნა ერთხმად.

მომხრე - 23 წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 23 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს 1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში, 2019 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

ანგარიში წარმოადგინა პრეზენტაციის სახით, მუნიციპალიტეტის მერმა არჩილ გოგაძემ, რომელმაც უპასუხა საკრებულოს წევრების შეკითხვებს.

აზრი გამოთქვა:

შალვა მშვილდაძემ, საკრებულოს თავმჯდომარემ;

გურამ ჩხეიძემ -საკრებულოს წევრმა

საკრებულოს სხდომამ მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში მიიღო ცნობად.

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

მიღებული იქნეს საკრებულოს განკარგულება N 42 41 27.08.2020წ (განკარგულება თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : 2. ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N 24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

ბიუჯეტში შესატან ცვლილებები საკრებულოს წევრებს გააცნო ლერი გუმბერიძემ - მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, რომელმაც უპასუხა საკრებულოს წევრების შეკითხვებს.

საკითხთან დაკავშირებით თანამომხსენებით გამოვიდა გივი კობერიძე, მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსი.

ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების შესახებ კომისიის დასკვნა წარმოადგინა-გურამი კიკნაველიძემ, მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ

საკრებულო ადგენს:

დამტკიცდეს საკრებულოს დადგენილება N 16 27.08.2020წ. (დადგენილება თან ერთვის)

გადაწვეტილება მიღებულია

მომხრე- 20 წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 20 საკრებულოს წევრმა

მ ო ს მ ი ნ ე ს : 3. ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის მეორე კვარტლის შესრულების მიმოხილვა.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მეორე კვარტლის შედეგები სხდომას წარუდგინა ლერი გუმბერიძემ, რომელმაც მონაცემების წარდგენის შემდეგ უპასუხა საკრებულოს წევრების შეკითხვებს.

აზრი გამოთქვას;

-**არჩილ გოგსაძემ**-მუნიციპალიტეტის მერმა;

-**გივი კობერიძემ** - მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსი.

-**გურამი კიკნაველიძემ**- მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ

კომისიის დასკვნა წარმოადგინა-გურამი კიკნაველიძემ, მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ

საკრებულოს სხდომამ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაცი, მიიღო ცნობად.

საკრებულოს სხდომამ **გადაწყვიტა:**

მიღებული იქნეს საკრებულოს განკარგულება N 42 42 27.08.2020წ. (განკარგულება თან ერთვის)

მ ო ს მ ი ნ ე ს : 4. ა.(ა).ი.პ. „ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე

დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის ინფორმაცია 2019-2020 სასწავლო წელს

მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღებში სახელმწიფო სტანდარტებით

გათვალისწინებული სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ორგანიზების კუთხით

ჩატარებული და მიმდინარე მუშაობის შესახებ.

ინფორმაცია წარმოადგინა თამილა ფაიქიძემ - ა.(ა).ი.პ. „ბაღდათის მუნიციპალიტეტის

სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორმა.

აზრი გამოთქვა:

კომისიის დასკვნა ბიუროს წევრებს გააცნო ირინა ტყემელაშვილმა - საკრებულოს

კულტურის, განათლების, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური მომსახურების

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ.

საკრებულოს სხდომამ თ. ფაიქიძის წარმოდგენილი ინფორმაცია, მიიღო ცნობად.

საკრებულოს სხდომამ **გადაწყვიტა:**

მიღებული იქნეს საკრებულოს განკარგულება N 42 43 27.08.2020წ. (განკარგულება თან ერთვის)

მ ო ს მ ი ნ ე ს: 5. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2020 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინა საარჩევნო აგიტაციის ჩასატარებლად შენობა-ნაგებობებისა და სააგიტაციო მასალების გამოფენისათვის ადგილების გამოყოფის შესახებ.

განკარგულების პროექტი და საკრებულოს კომისიის დასკვნა საკრებულოს წევრებს გააცნო, საკრებულოს იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ გვანცა გრძელიძემ.

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N 42 44 27.08. 2020 წ. (განკარგულება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:

მომხრე-18 წინააღმდეგი-0

კენჭისყრაში მონაწილეობდა 18 საკრებულოს წევრი

მ ო ს მ ი ნ ე ს: 6. ბაღდათის მუნიციპალიტეტში საჯარო მმართველობის რეფორმის განხორციელების ხელშეწყობისათვის, ელექტრონული სერვისების განვითარების მიმართულებით 2020-2021 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

სამოქმედო გეგმის პროექტი წარმოადგინა - გურამი კიკნაველიძემ-საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ.

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N 42 45 27.08. 2020 წ. (განკარგულება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:

მომხრე-18 წინააღმდეგი-0

კენჭისყრაში მონაწილეობდა 18 საკრებულოს წევრი

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად.

სხდომის თავმჯდომარე:

შალვა მშვილდაძე